ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის

სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის

მიზნით განხორციელებული შეფასების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 18 ნოემბრის N 1110 ბრძანების შესაბამისად, ამავე წლის 3 და 4 დეკემბერს თბილისის სამედიცინო აკადემიაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა უსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 525-ით გაზრდის ჭრილში (სულ 1300 ადგილი), უსდ-ს მიერ წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა:

1. ნინო ღაღანიძე (თავმჯდომარე) - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

2. ია ფანცულაია (წევრი) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;

3. ნინო ჩიხლაძე (წევრი) - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

5. დავით მაკასარაშვილი (სტუდენტი წევრი) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის შესახებ

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიამ 2018 წელს წარმატებით გაიარა ავტორიზაციის პროცესი. სასწავლო უნივერსიტეტში ამჟამად ხორციელდება ორი ერთსაფეხურიანი პროგრამა: „სამკურნალო საქმე“ (სწავლების ენა ქართული) და „მედიცინა“ (სწავლების ენა ინგლისური). ორივე პროგრამაზე უნივერსიტეტში სწავლობს აქტიური სტატუსის მქონე 759 სტუდენტი.

ამჟამად თსა-ში საქმიანობას ეწევა 48 აკადემიური პერსონალი, მათ შორის: 13 პროფესორი, 23 ასოცირებული პროფესორი, 4 ასისტენტ-პროფესორი და 8 ასისტენტი.

უნივერსიტეტის ფართი შეადგენს: სასწავლო ფართი - 2094.7 კვმ, ბიბლიოთეკა - 197.5კვმ, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები - 253.1 კვმ. ამასთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება 37 კლინიკასთან, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას.

2019 წელს თბილისი სამედიცინო აკადემიამ სტუდენტთა ზღვრული კონტინგენტის 525-ით გაზრდის მოთხოვნით (სულ 1300) მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ განაცხადს და დოკუმენტაციას. რიგი დოკუმენტებისა ჯგუფმა გამოითხოვა უშუალოდ ვიზიტის მიმდინარეობისას. უნივერსიტეტთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს, ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სხვა ადმინისტრაციული სამსახურების წარმომადგენლებს, ასევე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გადამოწმდა, 2018 წელს განხორციელებული ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების იმპლიმენტაციის საკითხი და დადასტურდა მათი შესრულების ფაქტი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის ურთიერთშეჯერების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების საფუძველზე მომზადდა დასკვნის პროექტი, განისაზღვრა რეკომენდაციები და რჩევები სამომავლო განვითარებისათვის.

დასკვნა

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით განხორციელებული ინსტიტუციური შეფასების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ დაწესებულებას სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობა გაეზარდოს მოთხოვნილი რაოდენობით (525 სტუდენტი). უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ადმინისტრაციულ, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების ჩატარების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტთა წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები და საგრძნობლად განვითარდა ამ მიმართულებით. უნივერსიტეტს გააზრებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის შესაძლებლობა და გააჩნია შესაბამისი პოტენციალი. აღსანიშნავია, რომ თბილისის სამედიცინო აკადემიას წარმოდგენილი ჰქონდა სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის სავარაუდო მაჩვენებლები როგორც არსებულ ორ ერთსაფეხურიან პროგრამაზე, ასევე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე, რომლებიც ამჟამად არ ხორციელდება უნივერსიტეტში და შემუშავების პროცესშია. ამდენად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა ემსჯელა მათ

შესახებ. წინამდებარე დასკვნა შემუშავებულია მხოლოდ არსებული საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტი შეცვლის ან დაამატებს პროგრამას/პროგრამებს, საჭირო იქნება ახალი შეფასების განხორციელება, რადგან ახალი პროგრამები არ შეფასებულა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

რეკომენდაციები:

2.უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

1. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დიფერენცირებული გაფართოება (მაგალითად, მონაცემთა ანალიზის მიმართულებით).

რჩევები

სასურველია, უნივერსიტეტმა გადახედოს ლექციების გრაფიკს და სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით მაქსიმალურად მოსახერხებელი, სტუდენტებზე ორიენტირებული ცხრილი შესთავაზოს სტუდენტებს.

უნივერსიტეტის მიერ ყოველწლიურ ბიუჯეტში განისაზღვრა 5% კვლევითი საქმიანობის გასაძლიერებლად და განსავითარებლად. თუმცა, მუხლების მიხედვით არ არის გაწერილი და საჭიროებს ძირითადი მიმართულებების (გრანტები, პუბლიკაციები, სადოქტორო პროგრამა და სხვა) გამოკვეთას; ასევე მიზანშეწონილია დაუხარჯავი თანხების აკუმულირება მომდევნო წლისთვის, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს შექმნას გარკვეული რეზერვი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განსახორციელებლად.

საუკეთესო პრაქტიკა

თბილისის სამედიცინო აკადემია თანადაფინანსების წესით აფინანსებს დასაქმებულ კურსდამთავრებულებს და უქმნის მათ გარკვეულ მოტივაციას სწავლის შემდგომი გაგრძელების თვალსაზრისით.

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია თვითმმართველობის პრინციპით მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. 2018 წელს მან მიიღო ავტორიზაცია; მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით გადაიხედა უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმა. საუნივერსიტეტო საზოგადოების ერთობლივი გადაწყვეტილებით მისიაში უკეთ გამოიკვეთა მთავარი აქცენტები განვითარების მიმდინარე ეტაპის რეალობიდან გამომდინარე. ამჟამად უნივერსიტეტის მისია ამგვარად არის ფორმულირებული : „თსა,

როგორც სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულება, ინოვაციური მიდგომით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის გამოყენებით უზრუნველყოფს ეროვნული და საერთაშორისო ჯანდაცვის მიმართულებით პროფესიონალების მომზადებას. ამავე დროს, კვლევაზე დაფუძნებული აქტივობების განხორციელებით წვლილი შეაქვს საქართველოს საზოგადოების განვითარებაში.

უნივერსიტეტის მისია ნათლად არის ჩამოყალიბებული და მკაფიოდ განსაზღვრავს უნივერსიტეტის როლს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, აღწერს იმ გზასაც, რომლითაც ჯანდაცვის სფეროში უზრუნველყოფილი იქნება პროფესიონალების მომზადება და მათი კონკურენტუნარიანობა ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე.

მისიის მიხედვით უნივერსიტეტი დახასიათებულია, როგორც სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. მისიის ქვაკუთხედად ინოვაციური მიდგომა, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნა, კვლევაზე დაფუძნებული აქტივობებია დასახული, რაც, მთლიანობაში საქართველოს საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის წინაპირობაა. ამდენად, მისიაში გაცხადებულია უნივერსიტეტის ძირითადი მახასიათებლები, მისი საქმიანობის სფეროს შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი იყენებს სწავლების უახლეს მეთოდებს სამედიცინო განათლებაში არსებული თანამედროვე მიდგომების შესაბამისად და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ მისია გაზიარებულია მათ მიერ.

1.2.თბილისის სამედიცინო აკადემიას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და სამწლიანი სამოქმედო გეგმა. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ავტორიზაციის პროცესის გავლის შემდეგ აქტიურად გაგრძელდა მუშაობა და უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე ზუსტად განისაზღვრა ძირითადი პრიორიტეტები. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავება ხორციელდებოდა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად და ამ პროცესში ჩართული იყო უნივერსიტეტის ყველა რგოლი თუ დაინტერესებული მხარე, კერძოდ, ადმინისტრაციული სამსახურები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე მუშაობის შემდეგ ეტაპებს: სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, წინა პერიოდის სტრატეგიული და სამოქმედო გეგემების გადახედვა, მისიის გადახედვა, არსებული მდგომარეობის შესწავლა (SWOT, PESTL და რისკების ანალიზი, გარე კვლევები, მათ შორის დამსაქმებელთა კვლევა), შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი და სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა და შესრულების მონიტორინგი და პროგრესის შეფასება. თსა სამუშაო ჯგუფთან ერთად კვლევას ახორციელებდა უნივერსიტეტის მიერ დაქირავებული კერძო კომპანია „ANOVA“.

ჩატარებული სამუშაოს შედეგად სტრატეგიული განვითარების გეგმაში დაისახა რამდენიმე ძირითადი მიმართულება. ეს მიმართულებებია: ადამიანური რესურსების შემდგომი განვითარება, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, კვლევითი კომპონენტის შენარჩუნება და განვითარება, თსა-ს სოციალური პასუხისმგებლობა და საზოგადოებაში ჩართულობის გაძლიერება, სტუდენტური აკადემიის, როგორც სტუდენტური გაერთიანების შემდგომი გაძლიერება, თსა-ს მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება სტრატეგიული განვითარების მიზნების შესაბამისად. დასახული პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად ლოგიკურად არის განსაზღვრული შესაბამისი მიზნები და კონკრეტული ქმედებები.

სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებები და მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის პროფილს, რეალისტურ დროშია მიღწევადი. ამავე დროს, სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს, კერძოდ, ინსტიტუციურ განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, სტუდენტთა ჩართულობის განვითარებას ინსტიტუციის მართვაში, კვლევების, ადამიანური და მატერიალური რესურსის განვითარებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნივერსიტეტის აქტიურ ჩართვას. ამ უკანასკნელს უნივერსიტეტი ავითარებს მიმდინარე სოციალური პროექტების ფორმებით.

თსა სამოქმედო გეგმა ლოგიკურად მიყვება სტრატეგიული განვითარების გეგმის ძირითად მიმართულებებს და თითოეული მიზნისთვის განსაზღვრავს კონკრეტულ ქმედებასა და ქვექმედებას, შესრულების მაჩვენებელს, პრიორიტეტულობას (ვადების მითითებით), ფინანსურ, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს. აქვე განსაზღვრულია თითოეული მიზნის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. ამდენად, სამოქმედო გეგმა ნათელ სურათს ქმნის 2019-2021 წლებში ეტაპობრივად განსახორციელებელი ყველა დაგეგმილი ღონისძიების შესახებ.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი გულისხმობს არსებული მდგომარეობის შესწავლას და მიმდინარე აქტივობების შეფასებას; შესაბამისად გათვალისწინებული და რეალიზებულია განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის სისტემა.

ამდენად, თსა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები ნათელ სურათს ქმნის უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი განვითარების თვალსაზრისით და შესაბამისობაშია სტანდარტთან.

მტკიცებულება/ინდიკატორები

ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან;

დანართი 1.2. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025

დანართი 1.3. სამოქმედო გეგმა 2019-2021

დანართი 1.4.სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.1.თბილისის სამედიცინო აკადემია თვითმმართველობის პრინციპზე დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებაა. მისი უმაღლესი მმართველობითი ორგანოებია: პარტნიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო და რექტორი. სამეთვალყურეო საბჭო იღებს გლობალურ გადაწყვეტილებებს და განსაზღვრავს ძირითად სტრატეგიას, ამტკიცებს დაწესებულების მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმასა და ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტებს; რექტორი წარმართავს თსა-ს ადმინისტრაციულ, აკადემიურ და კვლევით საქმიანობას. რექტორის დაქვემდებარებაშია მრჩეველთა საბჭო, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და რექტორის მოადგილე სასწავლო რესურსების განვითარების მიმართულებით. რექტორს ექვემდებარება მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლები შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულებით (დეკანატები, სკოლის საბჭოები და სხვ.), სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.ასევე, უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის სამსახური და ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სოციალური პროექტების მართვის სამსახური,საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, საკონსულტაციო და კარიერული მხარდაჭერის სამსახური და რეზიდენტურის სამსახური.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დაქვემდებარებაშია საქმისწარმოების, საფინანსო, იურიდიული, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ლოჯისტიკისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ექვემდებარება საგამოცდო ცენტრი.

ყველა ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები აღწერილია თსა-ს „დებულებაში“. სამსახურები გადაწყვეტილებას იღებენ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. შრომითი ურთიერთობები რეგულირდება უნივერსიტეტში შემუშავებული „შინაგანაწესით“.

სამსახურების თანამშრომელთა მიღების პროცედურას და პროცესს არეგულირებს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული „საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები“. ამდენად, უზრუნველყოფილია პერსონალის კვალიფიკაცია და მათი დანიშვნის პროცედურების გამჭვირვალობა.

თსა მართვის პროცესში იყენებს საქმისწარმოების და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემებს (edoc); ხოლო სასწავლო პროცესის მართვა ხორციელდება tma.ini.ge ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა ოპერატიულად და მოქნილად ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვისა და დავალებების მართვის მიართულებით, რაც აადვილებს ეფექტური მართვის განხორციელებას დაწესებულებაში. თსა-ს რეესტრის წარმოება

ხორციელდება რეესტრზე პასუხისმგებელი პირის მიერ „რეესტრის წარმოების წესის“ შესაბამისად.

მიმდინარე წლის განმავლობაში უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, შტატები დაემატა რამდენიმე მათგანს, რაც აუმჯობესებს აქამდე არსებულ თანაფარდობას სტუდენტთა რაოდენობასა და პერსონალს შორის. უნივერსიტეტს გააზრებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის დამატებასთან დაკავშირებული გამოწვევები და საშტატო ერთეულების გაზრდა ამ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია მართვის მოქნილი და ეფექტური ფორმების შენარჩუნება და განვითარება. ამ მიზნით შემუშავებულია „მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა“,რომლითაც რეგულირდება მართვისა და ანგარიშვალდებულების ზოგადი პრინციპები.თავის მხრივ, მართვა ეფუძნება სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ნიშნულებს და თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის შედეგებს.

თსა-ს მიერ შემუშავებული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა სამ ძირითად მიმართულებად იყოფა: საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია; კვლევის ინტერნაციონალიზაცია და სტუდენტებისა და პერსონალის მობილობის ხელშეწყობა. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია ამ მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებები. კერძოდ, თსა-მ ევროპელ პარტნიორებთან ერთად (გრონინგენის უნივერსიტეტი, ჰოლანდია; ანტვერპენის უნივერსიტეტი, ბელგია; შარიტეს უნივერსიტეტი, გერმანია) განახორციელა კურიკულუმის შემდგომი მოდერნიზაცია.უნივერსიტეტი ყოველმხრივ უწყობს ხელს პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში.უნივერსიტეტის პერსინალი ჩართულია გაცვლით პროგრამებში, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას. საგრანტო-კვლევითი კომიტეტისა და სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის საქმიანობაში ჩართულია საერთაშორისო პარტნიორები.ყალიბდება საერთაშორისო ექსპერტების სამუშაო ჯგუფი, რომელიც 2020 წლიდან ჩაერთვება თსა-ს საგრანტო პროგრამებში.მზადდება პროექტები საერთაშორისო საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გასავითარებლად 2019 წლის ზაფხულში დაფინანსდა ერასმუსის პროექტი “SETTING PEER REVIEW INSTRUMENTS AND GOALS FOR MEDICAL (HEALTH) EDUCATION (SPING-4-MED)“, რომელშიც თსა პარტნიორის სტატუსით მონაწილეობს. აღნიშნული პროექტი საშუალებას მისცემს დაწესებულებას განავითაროს ხარისხის ინდიკატორები და შეიმუშაოს მათი შესაფასებელი რელევანტური ინსტრუმენტები.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გაზრდილია პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის მაჩვენებლები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელებას უნივერსიტეტში.

2..2უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც თანამშრომლობს პრაქტიკულად ყველა სტრუქტურულ ერთეულთან. ხარისხის

უზრუნველყოფის სისტემის და მისი მუდმივი განვითარების მიზნით უსდ-ს შემუშავებული აქვს რამდენიმე დოკუმენტი, კერძოდ, „დებულება“ და „ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და პროცედურები“, რომლებიც არეგულირებენ სამსახურის ფუნქციონირებას. უნივერსიტეტი ავითარებს ხარისხის კულტურას, მისი ყველა სტრუქტურული ერთეული საკუთარ საქმიანობაში ეფუძნება (PDCA) ციკლის პრინციპებს და ყოველწლიურად ანგარიშის წარდგენით აფასებს გაწეულ შრომას და შედეგებს. ხარისხის უზრინველყოფის სამსახური მათი ანგარიშების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს და მონიტორინგს უწევს მათ შესრულებას. სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები განიხილება და შემდგომი შესრულების მიზნით სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტულობის მიხედვით აისახება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს რამდენიმე ტიპის რაოდენობრივ და თვისობრივ გამოკითხვას, რომლებიც ელექტრონულ ფორმატში მიმდინარეობს. მათ შორისაა სტუდენტთა გამოკითხვა, ფოკუს ჯგუფებთან ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუ და ინდივიდუალური შეხვედრები. ამავე დროს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პრეროგატივაა უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის მუშაობის შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება, კვლევითი აქტივობის შეფასება, სტუდენტური სერვისების შეფასება, მართვა და სხვ. სტუდენტთა გამოკითხვის შემდეგ დიდი მნიშვნელობა ექცევა მათთან უკუკავშირის საკითხს, იმ აქტივობების და გადაწყვეტილებების გაცნობას მათთვის, რომლებიც მათი გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე დაიგეგმა და რაც ხარისხის კულტურაში სტუდენტების ჩართვის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს.

უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალის ე.წ. 360 გრადუსიანი შეფასების პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს ხელმძღვანელისა და თანამშრომლების ურთიერთშეფასების სისტემატურ ციკლს. შეფასების შედეგების ანალიზი, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს, საფუძვლად ედება უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებებს. სამსახური აფასებს აგრეთვე სტუდენტთა შედეგებს და, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს რეკომენდაციებს ამ მიმართულებითაც.

უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის ერთ-ერთი მაჩვენებელი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა აქტიური ჩართვაა. მათთან კომუნიკაცია, გამოკითხვა და შედეგების დამუშავება პროგრამის განვითარების და მოდიფიცირების საფუძველს წარმოადგენს. ინტერვიუების დროს დადასტურდა დაინტერესებულ მხარეთა აქტიური მონაწილეობა პროგრამის განვითარების პროცესში, უნივერსიტეტის აქტიური როლი მათთან კომუნიკაციაში. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს განვითარების დადებითი დინამიკა, რომელიც არსებობს ბოლო წლების განმავლობაში და უშუალოდ კავშირშია მათ მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებთან. ამდენად, დადასტურებულად

შეიძლება მივიჩნიოთ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირება ამ მიმართულებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით უნივერსიტეტი პერიოდულად აფასებს მის მიერ მიწოდებული სერვისების და რესურსების ეფექტურობას, რაც ასევე დადასტურდა სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუს დროს.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც მხოლოდ ხელმძღვანელის სახით იყო წარმოდგენილი, დაემატა ერთი შტატი, თუმცა სამუშაოს მოცულობის და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მით უფრო სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში, რაც რაოდენობის ზრდასთან ერთად საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, იწვევს მთელ რიგ თვისობრივ ცვლილებებსაც, მიზანშეწონილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დიფერენცირებული გაფართოება მონაცემთა ანალიზის მიმართულებით.

უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სტუდენტების მისაღები ოდენობის განსაზღვრის წესი და ოქმი სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ. სამოქმედო გეგმის თანახმად სტუდენტთა რაოდენობა თანდათან უნდა გაიზარდოს და 2026-2027 წლებში უნდა შეადგინოს 1300 სტუდენტი. აღნიშნული დოკუმენტები სამოქმედო გეგმის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს და მათში დეტალურად არის გაანალიზებული ისეთი მონაცემები როგორიცაა თანაფარდობა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალის რაოდენობებს შორის დღეისათვის არსებული და გაზრდილი კონტინგენტის არსებობის შემთხვევაში. მოცემულია, ასევე, აკადემიური პერსონალის მიმდინარე და სავარაუდო დატვირთვა კონტინგენტის გაზრდის გათვალისწინებით.

2.3.უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი ინფორმირებულია უნივერსიტეტში მოქმედი ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის აუცილებლობის თაობაზე. უსდ-ში არსებობს პლაგიატის შესახებ და მისი თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეგულაციები, ინფორმაცია ვრცელდება სხვადასხვა საშუალების გამოყენებით. ფუნქციონირებს პლაგიატის აღმოჩენის ელექტრონული პროგრამა. საუნივერსიტეტო საზოგადოება იცნობს და იზიარებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინტერვიუ ადმინისტრაციის რექტორთან, რექტორის მოადგილესთან,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, დეკანთან, სამსახურების წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან.

დანართი 2.1 – ორგანიზაციული სტრუქტურა

დანართი 2.2 – დებულება

დანართი 2.3 – საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები

დანართი 2.4 – შრომის შინაგანაწესი

დანართი 2.5 – ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და პროცედურები

დანართი 1.5.სტუდენტთა მისაღები ოდენობის განსაზღვრის წესი

დანართი 1.6. სტუდენტების ზღვრული კონტინგენტის განსაზღვრის ოქმი N30.09.2019

რეკომენდაციები

რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დიფერენცირებული გაფართოება მონაცემთა ანალიზის მიმართულებით.

3.საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა უნივერსიტეტის მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამები და რესურსები. პროგრამების დამატების შემთხვევაში აღნიშნული შეფასება აღარ იქნება ვალიდური.

თსა-ში პროგრამები შემუშავებულია წინასწარ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, კერძოდ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია აღწერილია დოკუმენტში ,,ხარისხის უზრუნველყოფის წესი და პროცედურები''.

პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით თსა-ში ფუნქციონირებს კურიკულუმის კომიტეტები, რომლებშიც აქტიურად არის ჩართული აკადემიური და მოწვეული, დამსაქმებლები, რაც დადასტურდა დაწესებულებაში ინტერვიუების პროცესში. კომიტეტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების პროგრამის განვითარებაში ასახვის შემდგომ პროგრამას განიხილავს საბჭო, ხოლო დასამტკიცებლად გადაეცემა რექტორს.

მოცემულ ეტაპზე თსა-ში მიმდინარეობს სწავლება ორი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (ქართულენოვანი პროგრამა ,,სამკურნალო საქმე'' და ინგლისურენოვანი ,,მედიცინა'') ფარგლებში, თუმცა თსა-ში განხორციელდა ორივე პროგრამის მოდერნიზაცია მედიცინის ახალი დარგობრივი დოკუმენტის შესაბამისად და ინსტიტუციის მიერ დაგეგმილია განახლებული პროგრამების გაგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროგრამული აკრედიტაციის

მოსაპოვებლად. ამის გარდა, მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება ახალი სამაგისტრო პროგრამის (საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით) და სადოქტორო პროგრამის (მედიცინის მიმართულებით) ამოქმედება.

თსა-ში მიმდინარე ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების (ქართულენოვანი პროგრამა ,,სამკურნალო საქმე'' და ინგლისურენოვანი ,,მედიცინა'') დაშვების წინაპირობები დაკავშირებულია პროგრამების შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და დიპლომირებული მედიკოსის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამების დარგობრივ დოკუმენტთან ჰარმონიზაციის მიზნით თსა-მ განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები, დანერგა სწავლების და შეფასების ახალი მეთოდები, მათ შორის პორტფოლიო, OSPE და ასევე OSCE-ს გამოცდა, რომელიც ტარდება სპეციალურად აღჭურვილ კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში. ტესტური გამოცდები ტარდება კომპიუტერულ ცენტრში. კლინიკური კურაციები ტარდება კლინიკებთან, რომლებთანაც გაფორმებულია ხელშეკრულებები.

პროგრამა მოიცავს როგორც სავალდებული, ისე არჩევით სასწავლო კურსებს. პროგრამების მიზნები, ამოცანები, სწავლის შედეგები, შეფასების მეთოდები და სხვა მახასიათებლები ასახულია კატალოგში თსა-ს ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

თსა მუდმივად ზრუნავს პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებაზე სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალი და დამსაქმებლების გამოკითხვების შედეგების ანალიზის საფუძველზე.

ამჟამად ქართულენოვან პროგრამაზე სტუდენტთა (აქტიური სტატუსით) რაოდენობა შეადგენს 226-ს, ხოლო სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა-15-ს; ხოლო ინგლისურენოვან პროგრამაზე- სტუდენტთა (აქტიური სტატუსით) რაოდენობა შეადგენს 533-ს, ხოლო სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა-64-ს. ამგვარად ორივე პროგრამაზე სტუდენტთა (აქტიური სტატუსით) რაოდენობა შეადგენს 759-ს, ხოლო სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა-79-ს.

თსა-ში უკანასკნელი ორი სასწავლო წლის (2018/2019 და 2019/2020 სასწავლო წლები) განმავლობაში შესაბამისად ჩაირიცხა 166 და 174 სტუდენტი, ხოლოდ მომდევნო წლებში თსა გეგმავს სტუდენტების 215-220 სტუდენტის ფარგლებში მიღებას მომდევნო წლების განმავლობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის დროს განხორციელდა არსებული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების (ქართულენოვანი პროგრამა ,,სამკურნალო საქმე'' და ინგლისურენოვანი ,,მედიცინა'') შეფასება და არა იმ ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისა, რომელთა წარდგენასაც გეგმავს თსა პროგრამული აკრედიტაციების მოსაპოვებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან, საბჭოს წევრებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მოწვეულ პედაგოგებთან;
- პროგრამების კატალოგი (იხ. ვებ-გვერდი http://tma.edu.ge/geo/cat.pdf და http://tma.edu.ge/files/cateng.pdf)

4.უსდ-ის პერსონალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა უნივერსიტეტის მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამები და მათი ადამიანური რესურსები. პროგრამების დამატების შემთხვევაში აღნიშნული შეფასება აღარ იქნება ვალიდური.

პერსონალის მართვისთვის თსა-ს შემუშავებული აქვს სათანადო პოლიტიკა, რაც ასახულია დოკუმენტებში ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა'' და ,,პერსონალის ვაკანსიის მართვა''. აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად თსა-ში მიმდინარეობს პერსონალის დაქირავება, ახლად მიღებული პერსონალის მომზადება, პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა.

თსა-ს განსაზღვრული აქვს აფილირების წესი, რომელიც ავალდებულებს პერსონალს ჩაერთოს სასწავლო, ადმინისტრაციულ ან კვლევით საქმიანობაში, პერსონალის სურვილის და შესაძლებლობების გათვალისწინებით. პერსონალის დატვირთვის სქემაც სწორედ მიმართულებების მიხედვით საქმიანობას უკავშირდება.

ამჟამად თსა-ში საქმიანობას ეწევა 48 აკადემიური პერსონალი, მათგან 17 (2 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი და 6 ასისტენტი) მიღებული იქნა აკადემიურ თანამდებობებზე 2019 წელს გამოცხადებული კონკურსების წესით. ერთი პროფესორის გარდა ყველა აკადემიური პერსონალი აფილირებულია. აკადემიურ პერსონალთან ერთად აკადემიურ საქმიანობას ეწევა 71 მოწვეული პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციები შეესაბამება დაკავებულ პოზიციებს. თსა-ში საქმიანობას ეწევა 45 ადმინისტრაციული პერსონალი. უნდა აღინიშნოს, რომ მოწვეული აკადემიური აკადემიური პერსონალის ანალოგიურად, პერსონალი მოტივირებულია საკუთარი წვლილი შეიტანოს თსა-ს მისიის განხორციელებაში და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაში.

თსა-ში მუდმივად ზრუნავს პერსონალის მოტივაციის ამაღლებაზე. თსა-ში დანერგილია პერსონალის წახალისების სისტემა, რაც ეფუძნება რეიტინგულ სისტემას და გამოკითხვებს. დანერგილია ასევე 360 გრადუსიანი შეფასება, რაც საშუალებას აძლევს პერსონალს მიიღოს შეფასება და იზრუნოს გასაუმჯობესელ მხარეებზე.

პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა ეფუძნება ინდივიდუალური საჭიროებების კვლევას და თსა-ს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი

ჩართულია სხვადასხვა ტიპის ტრენინგებში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პეროსნალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- თსა-ს ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა'';
- თსა-ს ,,პერსონალის ვაკანსიის მართვა'';
- პერსონალის პირადი საქმეები.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები

5.1 სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და განათლების აღიარების წესები ნათლადაა ასახული უსდ-ს "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" . აღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან უმაღლესი განათლების შესახებ და ხელმისაწვდომია უსდ-ს ვებ-გვერდზე, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.

უსდ-სა და სტუდენტს შორის წარმოდგენილი ხელშეკრულებები იცავს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ინტერვიუს პროცესში სტუდენტებმა დაადასტურეს უსდ-ში ჩარიცხვისას აღნიშნული დოკუმენტის გაცნობა და პროცესის გამჭირვალობა. ასევე, ისინი ინფორმირებულნი იყვნენ ხელშეკრულების შინაარსის შესახებ.

უსდ-ში არსებობს გასაჩივრების სისტემა, რომლის მექანიზმიც აღწერილია დოკუმენტში "სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები". ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ მიერ არაერთგზის გამოყენებულ იქნა საჩივრის/მოთხოვნის წარდგენის სისტემა, რასაც უმრავლეს შემთხვევაში მოჰყვა შესაბამისი და სამართლიანი გადაწყვეტილებები დაწესებულების მიერ. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი კმაყოფილების კვლევაც აღნიშნული სისტემის დადებითად მუშაობაზე მეტყველებს.ერთადერთი საკითხი, რომელზეც უცხოელმა სტუდენტებმა გარკვეულწილად უარყოფითი მოსაზრება გამოთქვეს, ცხრილს ეხებოდა. კერძოდ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ დღის მეორე ნახევარში ლექციების დაწყება სწავლების რთულ გრაფიკს ქმნის მათთვის.

5.2 თვითშეფასების ანგარიში და გასაუბრების შედეგები ცხადყოფს, რომ თბილისის სამედიცინო აკადემია აქტიურად არის ჩართული სტუდენტების მხარდამჭერ ღონისძიებებში და უზრუნველყოფს სტუდენტზე-ორიენტირებული გარემოს განვითარებას.

უნივერსიტეტში ფუნციონირებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელიც სტუდენტებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში ეხმარება. თსა პირველკურსელთათვის ყოველწლიურად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს, რომლთა ფარგლებში ისინი ხვდებიან უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ეცნობიან ინფორმაციას უნივერსიტეტში ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ, ხელშეკრულებებსა და რეგულაციებს. სტუდენტებს ნებისმიერი ინფორმაციის მისაღებად საშუალება აქვთ მიმართონ სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორებს, როგორც ელექტრონულად, ასევე ზეპირი სახით. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილ გამოკითხვის შედეგებში ნაჩვენებია, რომ სტუდენტები ძალიან კმაყოფილები არიან კოორდინატორების საქმიანობით, რაც ინტერვიუების დროსაც დადასტურდა. კონტიგენტის გაზრდასთან დაკავშირებით, თსა-მ უკვე გამოყო დამატებით სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორისა და კოორდინატორის თანაშემწის საშტატო ერთეული, 2021 წლისთვის კი, მას შემდეგ რაც სტუდენტთა რაოდენობა 1000-ს გადააჭარბებს, დამატებით 4 საშტატო ერთეული შეიქმნება.

თსა-ში ფუნქციონირებს სტუდენტთა საკონსულტაციო და კარიერული მხარდაჭერის სამსახური, რომელიც სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას დასაქმებისა და კარიერული ზრდის თაობაზე, ასევე ეხმარება მათ პირადი თუ აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში.

უნივერსიტეტი სადაზღვევო კომპანია “იმედი-L”-თან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში კურსდამთავრებულებს ეხმარება დასაქმდნენ ექიმის ასისტენტად და ამავდროულად უნივერსიტეტისგან მიიღონ ხელფასის ოდენობის დანამატი. თსა კურსდამთავრებულებს ასევე სთავაზობს სარეზიდენტურო გამოცდისათვის მოსამზადებელ უფასო კურსებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აწარმოებს გამოკითხვას სტუდენტებისა და პერსონალის პროფესიულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით . დაწესებულებას ასევე გააჩნია ახლადშექმნილი კურსდამთავრებულთა ასოციაცია.

უსდ-ში ფუნქციონირებს სტუდენტური ასოციაციები “სტუდენტური აკადემია” და “GMSA” (Georgian Medical Students Associastion). უსდ უზრუნველყოფს აღნიშნული ასოციაციებისა და სტუდენტების ფინანსურ და მატერიალურ მხარდაჭერას, რაც მათი საერთაშორისო კონფერენციებში და სასწავლო პრაქტიკების (კლაიპედას უნივერსიტეტი, ლიეტუვა) მონაწილეობის ხარჯების სრულიად დაფარვაშიც გამოიხატება. ონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში უნივერსიტეტი მზად არის გაზარდოს სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებიც, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2020-2021 წლების ბიუჯეტში სტუდენტთა აქტივობების ხარჯის ზრდის მიუხედავად დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული არ ყოფილა გაზრდილი სტუდენტების რაოდენობა.

უნივერსიტეტი მხედველობაში იღებს სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს და სთავაზობს სწავლის საფასურის გადახდის მოქნილ მექანიზმებს. ამასთანავე უნივერსიტეტი სწავლის გადასახადისგან ათავისუფლებს წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთა რაოდენობამ 2019-2020 წელს 18 შეადგინა.

მტკიცებულებები:

დანართი 5.1 - სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები

დანართი 5.2 - სტუდენტთა ხელშეკრულებები

რჩევები

სასურველია, უნივერსიტეტმა გადახედოს ლექციების გრაფიკს და სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით მაქსიმალურად მოსახერხებელი, სტუდენტებზე ორიენტირებული ცხრილი შესთავაზოს სტუდენტებს.

6.კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

6.1.თსა წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტს, თუმცა უნივერსიტეტისთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება და მომავალი წლისათვის დაგეგმილია დაწესებულების უნივერსიტეტად ტრანსფორმაცია, რაც გულისხმობს სადოქტორო პროგრამების და კვლევითი კომპეტენციის მაღალ დონეზე განვითარებას. თსა-ს მიერ 2018 წლიდან კვლევითი კომპონენტის განსავითარებლად განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული და ფინანსური ცვლილებები, კერძოდ, შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მონიტორინგისა და დოქტორანტურის სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობს სასწავლო-კვლევით ლაბორატორიას. უნივერსიტეტის მიერ ყოველწლიურ ბიუჯეტში განისაზღვრა 5% კვლევითი საქმიანობის გასაძლიერებლად და განსავითარებლად. თუმცა, მუხლების მიხედვით არ არის გაწერილი და საჭიროებს ძირითადი მიმართულებების (გრანტები, პუბლიკაციები, სადოქოტორო პროგრამა და სხვა) გამოკვეთას, ასევე მიზანშეწონილია დაუხარჯავი თანხების აკუმულირება მომდევნო წლისთვის, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს შექმნას გარკვეული რეზერვი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განსახორციელებლად.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი და ბიოეთიკის კომიტეტი, რომელთა რეკომენდაციის საფუძველზე ხდება სამეცნიერო კვლევების განვითარებისა და ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ფარგლებში პროექტების დაფინანსება თსა-ს აკადემიური პერსონალისთვის. ასე მაგალითად, 2018 წლიდან აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 7 სამეცნიერო-კვლევითი პროექტი შემდეგ მიმართულებებში: ნეირომეცნიერებები; მიკრობიოლოგია; იმუნოლოგია; პათოლოგია; საზოგადოებრივი ჯანდაცვა; მოლეკულური ონკოლოგია. არსებულ პროექტებში ჩართულია 20 სტუდენტი.

სამომავლოდ დაგეგმილია სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიის ბაზაზე სადოქტორო ნაშრომების შესრულება.

გარდა ამისა, აკადემიური პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგი და კონსულტაციები საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისა და საპროექტო წინადადების მომზადების საკითხებზე;

2019 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთობლივად მომზადდა სამეცნიერი-კვლევითი პროექტები, რომელიც წარდგენილია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსში. თსა-ს სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის მიერ ასევე მომზადებული და წარდგენილია საგრანტო განაცხადის კონცეფცია COBERM IV კონკურსზე.

თსა-ს მიერ საგრანტო პროექტების შესაფასებლად დაგეგმილია საერთაშორისო ექსპერტების ჯგუფი ჩამოყალიბება, რისთვისაც ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს ხელშეკრულებების გაფორმება ორგანიზაციებთან სხვადასხვა საერთაშორისო რესურსების გამოყენებით (მაგალითად: ორმხრივი შეთანხმება, ERASMUS+ პროექტები).

თსა-ს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2019 წლის სექტემბრიდან გამოცხადდა საგრანტო პროგრამა "სამეცნიერო პუბლიკაცია", რომლის ფარგლებში ყველა აკადემიურ პერსონალს დაუფინანსდება ნაშრომის გამოქვეყნების ხარჯები საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში.

სტუდენტებში კვლევითი პოტენციალის გამოსავლენად და გასაძლიერებლად თს მართვას გარკვეული პერიოდულობით სტუდენტური კონფერენციებს ასე მაგალითად: 2016 წლის სტუდენტური კონფერენცია მიეძღვნა თემას „ანტიბიოტიკორეზისტენტობა"; 2018 წლის სტუდენტური კონფერენციის თემა იყო "კრიტიკული აზროვნება პაციენტის უსაფრთხოებისთვის"; 2020 წლისთვის კი თსა გეგმავს ჩაატაროს საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია თემაზე „პაციენტთა უსაფრთხოება - ცოდნიდან შეცდომამდე".

თსა-ს მიერ კვლევითი კომპონენტის მხარდასაჭერის, ხელშეწყობისა და შემდგომი განვითარების მიზნით შემუშავდა მთელი რიგი დოკუმენტები:

- კვლევითი კომპონენტის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია;
- მეთოდური რეკომენდაცია „სამეცნიერო ექსპერტიზა და შეფასება";
- მეთოდური დოკუმენტი "აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატი";
- აკადემიური წერის სტანდარტი;

თსა-ს მიერ ინტენსიურად მიმდინარეობს სადოქტორო პროგრამის შექმნის პროცესი.

რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, 2018-2019 წლებში მოხდა არსებული სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის სრული მოდერნიზაცია და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა, რომლის საფუძველზე შესაძლებელია მიკრობიოლოგიური,

იმუნოლოგიური, მორფოლოგიური და ბიოქიმიური მეთოდების გამოყენებით კვლევების განხორციელება. ლაბორატორია მოიცავს 4 ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სივრცეს (თითოეული სივრცე 20-მდე სტუდენტზე არის გათვლილი).

ლაბორატორიაში თსა-ს მიერ დაფინანსებული 7 სამეცნიერო-კვლევითი პროექტის გარდა, მიმდინარეობს სხვადსხვა დისციპლინების სწავლების პროცესიც.

თსა-ს მიერ დაგეგმილია, მაღალი სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის მქონე პერსონალის მოზიდვა, განვითარება და შენარჩუნება. ამ მიზნისთვის უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოს მიერ მოხდა არსებული აკადემიური პერსონალის შერჩევის საკონკურსო პირობების გადახედვა და მათი მოდიფიცირება, რომელიც ითვალისწინებს უპირატესობა მიენიჭოს იმ კონკურსანტს, რომელსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში მაღალი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა უფიქსირდება.

უნივერსიტეტის მიერ ხორციელდება პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება არა მარტო რაოდენობრივი პრამეტრებზე დაყრდნობით, არამედ ხარიხსობრივი კუთხით, აგრეთვე დაგეგმილია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასების შესაბამისი ანაზღაურების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს წახალისებას და ანაზღაურების მატებას.

თსა-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები/მემორანდულები, როგორც ადგილობრივ, ასევე სხვადსხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთობლივი კვლევების გნახორციელების მიზნით (ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი; გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი; გრანადას უნივერსიტეტი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, კლაიპედას უნივერსიტეტი, ლატვიის უნივერსიტეტის რიგის სამედიცინო კოლეჯი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები
ინტერვიუ სამეცნიერო-კვლევითი და დოქტურანტურის სამსახურის უფროსთან და წარმომადგენელთან, აკადემიურ პერსონალთან, საბჭოს წევრებთან
დანართი 1.1 - სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ.;
დანართი 1.2 - სამოქმედო გეგმა 2018-2020 წწ.;
დანართი 2.1 - დებულება
კვლევითი კომპონენტის კონცეფცია
სამეცნიერო პუბლიკაცია
სამეცნიერო პროექტის შეფასება და ექსპერტიზა
დანართი 6.1 - კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმები
დანართი 6.2 - განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

რჩევა:

უნივერსიტეტის მიერ ყოველწლიურ ბიუჯეტში განისაზღვრა 5% კვლევითი საქმიანობის გასაძლიერებლად და განსავითარებლად. თუმცა, მუხლების მიხედვით არ არის გაწერილი და საჭიროებს ძირითადი მიმართულებების (გრანტები, პუბლიკაციები, სადოქტორო პროგრამა და სხვა) გამოკვეთას; ასევე მიზანშეწონილია დაუხარჯავი

თანხების აკუმულირება მომდევნო წლისთვის, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს შექმნას გარკვეული რეზერვი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განსახორციელებლად.

7.მატერიალური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა უნივერსიტეტის მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამები და მათი მატერიალური რესურსები. პროგრამების დამატების შემთხვევაში აღნიშნული შეფასება აღარ იქნება ვალიდური.

7.1.თსა მატერიალურ ტექნიკური ბაზა განთავსებულია ძირითადად ქეთევან წამებულის გამზირზე #51/2 -ში (საკადასტრო კოდი #01.17.01.132.002) (იხ. დანართი 7.1), რომელიც მოიცავს 3170.7 კვ.მ შენობას, საიდანაც 2094.7 კვ.მ სასწავლო ფართია, 1076 კვ.მ. კი - დამხმარე.
უნივერსიტეტში არსებობს ნულოვან სართულზე 326.0 კვ.მ ფართობი, რომელიც განკუთვნილია სარეკრეაციო ზონისთვის, პირველ სართულზე - 104.4 კვ.მ სტუდენტური სასადილოსთვის. არსებულ შენობაზე მიშენებულია 773.9 კვ.მ, რომელთაგან 559.5 კვ.მ. სასწავლო ფართია, ხოლო 214.4 კვ.მ. - დამხმარე. წარმოდგენილი ფართი სრულად მოწესრიგებულია და მზადყოფნაშია (აღჭურვილია სასწავლო და სათანადო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკით, დაცულია უსაფრთხოების ნორმები). გარდა ამისა, უსდ-ს საკუთრებაში აქვს 7 სართულიანი კორპუსი, რომელშიც ვიზიტის დროს ფაქტიურად სარემონტო სამუშაოები დამთავრებული იყო, საერთო ფართი 1259კვ.მ. შენობა მოთავსებულია სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დიდი დარბაზი. თსა-ს შენობაში არსებული აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და თანამედროვე აპარატურით, გაკეთებულია სამეცნიერო-სასწავლო ლაბორატორია, ვირტუალური სწავლების ლაბორატორია, ასევე გააჩნია თანამედროვე, მრავალფეროვანი სიმულატორებით და მანეკენებით აღჭურვილი კლინიკური უნარ-ჩვევების და ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდების ცენტრი.
გარდა ამისა, თსა-ში ფუნქციონირებს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე, კომპიუტერით აღჭურვილი საგამოცდო ცენტრი, ბიბლიოთეკა, სივრცე სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისთვის, ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო სივრცეები, არქივი, სანიტარული კვანძები და სხვა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დაწესებულება დროებით სარგებლობაში ფლობს გარკვეულ ფართებს თბილისში, წინანდლის #9-ში განთავსებული შპს „კარდიოლოგიური კლინიკა გული“-ს (357.63 კვ.მ.) (იხ. დანართი 7.3) და შპს „ახალი სამშობიარო ცენტრი“-ს (212 კვ.მ.) (იხ. დანართი 7.4) კუთვნილი ფართებიდან, მათთან გაფორმებული უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე. აღნიშნულ კლინიკებში თსა ახორციელებს სტუდენტთა თეორიულ სწავლებას და მათთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას კლინიკურ გარემოში.

უნივერსიტეტში დამონტაჟებული გათბობის, ხანძარსაწინააღმდეგო, დამოუკიდებელი ელექტროენერგიის მიწოდების სისტემები (იხილეთ შესაბამისი დანართები). უსდ-ში არსებულ ყველა სივრცეს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. თსა-ში ყოველწლიურად, გათბობის სეზონის დაწყებამდე, სისტემის ექსპლოატაციაზე პასუხისმგებელი, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირების მიერ მოწმდება საქვაბე, თბოგენერატორები, კალორიფერული დანადგარები და სხვა ხელსაწყოები.

საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტებისთვის პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, ასევე ერთობლივი კვლევითი პროექტების განსახორციელებლად თსა-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანაშრომლობის ხელშეკრულებები 37 აფილირებულ ორგანიზაციასთან.

7.2. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. წიგნადი ფონდი მოიცავს ასევე სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარულ, პერიოდულ გამოცემებს. 2018-2019 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდები. ამჟამად ფონდი მოიცავს 5085 წიგნს და წვდომა აქვს რამდენიმე ელექტრონულ რესურსზე, რომელთა გამოყენება აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. საბიბლიოთეკო რესურსებით თანამშრომლობის მიზნით თსა თანამშრომლობს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, პარლამენტის ეროვნულ და სამეცნიერო ბიბლიოთეკებთან.

ბიბლიოთეკას მართავს ამ მიზნით 2018 წელს შექმნილი საბიბლიოთეკო კომიტეტი. კომიტეტის მოვალეობას შეადგენს ფონდების მონიტორინგი და მათი განახლების მექანიზმების ამოქმედება. ყოველ წელს ტარდება საბიბლიოთეკო მომსახურებით კმაყოფილების კვლევა, რომლის შედეგების ანალიზი საფუძვლად ედება სამომავლო განვითარებას.

საბიბლიოთეკო სივრცე გათვლილია ერთდროულად 130 მკითხველის მომსახურებაზე. ბოლო პერიოდში ამ სივრცეს დაემატა ორი დამოუკიდებელი სივრცე-სამკითხველო და ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილი ფართები. ამჟამად ბიბლიოთეკას ემსახურება 2 პერსონალი, თუმცა სტუდენტთა ოდენობა თუ გაიზრდება 1000 სტუდენტამდე, მათ დაემატება ერთი საშტატო ერთეული.

7.3 დაწესებულებას გააჩნია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომლსაც ადმინისტრირებას უწევს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური. აღნიშნული სამსახური საქმიანობას წარმართავს დაწესებულების დებულების, IT პოლიტიკის და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების საფუძველზე.

უსდ-ში სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეები აღჭურვილია კომპიუტერული ინვენტარით, რომელიც მუდმივად არის დაკავშირებული ინტერნეტთან და აქვს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან და სისტემებთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით მუდმივად ხორციელდება ინფორმაციული სერვისების და სისტემების სარეზერვო კოპირება, სერვისებზე წვდომის კონტროლი, ქსელისა და ტექნიკური აპარატურის სრული მონიტორინგი ყოველი კვირის ბოლოს.

ამჟამად თსა იყენებს სასწავლო პლატფორმა MOODLE-ის ბაზაზე დანერგილი საგამოცდო სისტემას. საგამოცდო ცენტრში განთავსებულია 70 კომპიუტერი, რომლებიც უსაფრთხოების მიზნით მხოლოდ შიდა ქსელთან არიან დაკავშირებული.

სასწავლო პროცესის მართვისათვის თსა იყენებს www.tma.ini.ge -ის სისტემას. ინტერვიუებში სტუდენტები ადასტურებენ აღნიშნული სერვისის აქტიურ გამოყენებას. 2020 წლიდან აღნიშნულ სისტემაში შესაძლებელი იქნება განცხადებისა და მოთხოვნების ელექტრონული გენერირება, რაც გაზრდილი კონტინგენტის პირობებში საქმისწარმოებას გააადვილებს. უსდ საქმისწარმოებისათვის იყენებს ელექტრონულ სისტემა eDocument-ს.

7.4. თბილისის სამედიცინო აკადემიის ფინანსურ მდგრადობაზე პასუხისმგებელია დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო დამტკიცებული პოლიტიკის შესაბამისად ფინანსური რესურსების მართვას ახორციელებს რექტორი (აღსანიშნავია, რომ თვითშეფასებაში წერია დირექტორი, რომელიც სტრუქტურაში არ არის მითითებული. სავარაუდოდ, გასასწორებელი და დასაზუსტებელია თვითშეფასების ეს ნაწილი). ფინანსური რესურსების მართვის მიზნით დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია რექტორის მოადგილე და საფინანსო სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი ოპერაციების განხორციელებაზე.
თსა კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა, რომლის შემოსავლის ძირითად წყაროს ამ ეტაპზე ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასური წარმოადგენს, თუმცა 2018-2020 წწ. სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია სხვა ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულების შემოსავლის წყაროების მნიშვნელოვან დივერსიფიკაციას. კერძოდ: საერთაშორისო ინსტიტუციური განვითარების და კვლევითი გრანტების მოზიდვა.

ბოლო 5 წლის განმავლობაში თსა-ს შემოსავლებში შეიმჩნევა დადებითი დინამიკა და აღსანიშნავია, რომ 2017 წელს 2013 წელთან შედარებით შემოსავალი გაზრდილია 2.5-ჯერ, რაც ერთის მხრივ დაკავშირებულია სტუდენტთა რაოდენობის, მეორეს მხრივ კი სწავლის საფასურის ზრდასთან.

როგორც ინტერვიუდან ირკვევა, ბიუჯეტის შედგენის პროცესში ჩართულია თსა-ს სტრუქტურით გათვალისწინებული ყველა ერთეული და ფაკულტეტის საბჭო. ბიუჯეტის კორექტირება შესაძლებელია კვარტალურად.

მტკიცებულებები:

ინტერვიუ რექტორთან, ფინანსურ მრჩეველთან, სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენელთან

დანართი 7.1 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
დანართ 7.2 - მშენებლობის ნებართვა;
დანართი 7.3 - საიჯარო ხელშეკრულება შპს „კარდიოლოგიური კლინიკა გული“
დანართი 7.4 - საიჯარო ხელშეკრულება შპს „ახალი სამშობიარო ცენტრი“
დანართი 7.5 - ინვენტარიზაციის მასალები;
დანართი 7.6 - ვენტილაციის სისტემის გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
დანართი 7.7 - გათბობის სისტემის გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი
დანართი 7.8 - სანიტარული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი
დანართი 7.9 - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი
დანართი 7.10 – სერვისული მომსახურეობის ხელშეკრულება შპს სახანძრო სიგნალიზაცია „ნაპერწკალთან“;
დანართი 7.11 - ხელშეკრულება სახანძრო სიგნალიზაციის მონტაჟზე შპს სახანძრო სიგნალიზაცია „ნაპერწკალთან“

დანართი 7.12 - სახანძრო უსაფრთხოების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი
დანართი 7.13 - შენობის საევაკუაციო გეგმები
დანართი 7.14 –ბრძანება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ
დანართი 7.15 – ხელშეკრულება შპს „ალგანთან“ (წესრიგის დაცვის მექანიზმი)
დანართი 7.16 - შენობის პროექტი (ადაპტირებული გარემოს გეგმით)
დანართი 7.17 - გენერატორის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დანართი 7.21 - ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკა და პროცედურები;
დანართი 7.22 - ხელშეკრულება სს „სილქნეტთან“;
დანართი 7.23 - ხელშეკრულება სასწავლო პროცესის მართვის სისტემის პროვაიდერთან;
დანართი 7.24 - ხელშეკრულება ელ. საქმისწარმოების პროვაიდერთან;
დანართი 7.25 - ვებ-ჰოსტინგის მომსახურეობის გაწევის ხელშეკრულება;
დანართი 7.26 – დომეინის ფლობის შესახებ დოკუმენტი;

დანართი 7.27 - ბიუჯეტი და წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგება;
დანართი 7.28 - აუდიტორული დასკვნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ნინო ღაღანიძე



ია ფანცულაია



ნინო ჩიხლაძე

დავით მაკასარაშვილი